1956

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 6 (75) დეკემბერი 1956 წ.

6992

## შინაარსი

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი**

1. ბრძანებულება პამირის ექსპედიციის მონაწილეთა დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.
2. ბრძანებულება ტყიბულის ნახშირის საძიებო გეოლოგიური პარტიის ხარისთვალას დასახლების მუშათა დასახლებების ჯგუფზე მიკუთვნებისა, ხარისთვალას სადაბო საბჭოს შექმნისა და შაორგესის დასახლების ხარისთვალას სადაბო საბჭოზე მიკუთვნების შესახებ.
3. ბრძანებულება ქუთაისის საავტომობილო ქარხნისათვის გ. კ. ორჯონიკიძის სახელის მიკუთვნების შესახებ.
4. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის ორგმასობრივი მუშაობის შესახებ.
5. ბრძანებულება ინჟინერ დ. გ. ხმიადაშვილისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის წოდების მინიჭების შესახებ.
6. ბრძანებულება მ. ე. თარხნიშვილისათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
7. ბრძანებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების შესახებ.
8. ქასპის რაიონის ახალქალაქის სასოფლო საბჭოს აღმასკომის მუშაობის შესახებ.
9. მრავალშვილიანი დედების დასაჯილდოებლად წარდგენისა და მათთვის ორდენებისა და მედლების ჩაბარების მდგომარეობის შესახებ საქართველოს სსრ რესპუბლიკაში.
10. ბრძანებულება წვრილმანი ხულიგნობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.
11. საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულების შესახებ.
12. საქართველოს სსრ წითელწყაროს რაიონის ცენტრის დაბა წითელი წყაროს რაიონული დაქვემდებარების ქალაქების ჯგუფზე მიკუთვნების შესახებ.

ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

## 1. ბრძანებულება პამირის ექსპედიციის მონაწილეთა დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით

მოსკოვის სახელობის მწვერვალზე პირველი ასღლის განხორციელებისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით ალპინისტები—ა. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპური კლუბის 1956 წლის პამირის ექსპედიციის მონაწილენი:

1. ახვლედიანი ზურაბ იოსების-ძე — მოიერიშეთა ჯგუფის წევრი
2. ახვლედიანი ლევან აფრასიონის-ძე — მოიერიშეთა ჯგუფის წევრი
3. კუხიანიძე თეიმურაზ მიხეილის-ძე — მოიერიშეთა ჯგუფის წევრი
4. მეძმარიაშვილი ჯუმბერ ალექსის-ძე — მოიერიშეთა ჯგუფის წევრი
5. ობოლაძე დიმიტრი პლატონის-ძე — მოიერიშეთა ჯგუფის უფროსი
6. ხაზარაძე რევაზ დავითის-ძე — მოიერიშეთა ჯგუფის წევრი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობის
დროებით აღმსრულებელი—**ნ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წ. 27 სექტემბერი.

## 2. ბრძანებულება ტყიბულის ნახშირის საძიებო გეოლოგიური პარტიის ხარისთვალას დასახლების მუშათა დასახლებების ჯგუფზე მიკუთვნებისა, ხარისთვალას სადაბო საბჭოს შექმნისა და შაორგესის დასახლების ხარისთვალას სადაბო საბჭოზე მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. ტყიბულის ნახშირის საძიებო გეოლოგიური პარტიის ხარისთვალას დასახლება მიეკუთვნოს მუშათა დასახლებების ჯგუფს.

2. ხარისთვალას მუშათა დასახლებაში შეიქმნას ხარისთვალას სადაბო საბჭო და ადმინისტრაციულად დაექვემდებაროს ტყიბულის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ტყიბულის რაიონის ხარისთვალას სადაბო საბჭოს მიეკუთვნოს შაორგესის მშენებლობის დასახლება.

4. ნება დაერთოს ტყიბულის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მომავალ არჩევნებამდე, შექმნას ხარისთვალას სადაბო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი თავმჯდომარის, მოადგილის, მდივნის და ოთხი წევრის შემადგენლობით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობის
დროებით აღმსრულებელი — **ნ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წ. 12 ოქტომბერი.

**3. ბრძანებულება ქუთაისის საავტომობილო ქარხნისათვის გ. კ. ორჯონიკიძის სახელის მიკუთვნების შესახებ**

ვ. ი. ლენინის ერთგული მოწაფისა და თანამებრძოლის გრიგოლ (სერგო) კონსტანტინეს-ძე ორჯონიკიძის დაბადებიდან 70 წლის შესრულებასთან დაკავშირებით და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე მისი დამსახურების აღსანიშნავად მიეკუთვნოს ქუთაისის საავტომობილო ქარხანას გ. კ. ორჯონიკიძის სახელი და ამიერიდან მას ეწოდოს—ქუთაისის გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ხ. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წ. 27 ოქტომბერი.

**4. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის ორგმასობრივი მუშაობის შესახებ**

მოისმინა და განიხილა რა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ვ. დ. კოზაევის მოხსენება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის ორგმასობრივი მუშაობის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს ორგმასობრივ მუშაობაში გააჩნია სერიოზული ნაკლოვანებანი; საოლქო საბჭოს აღმასკომი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ღებულობს სათანადო ზომებს საბჭოების როლის ამაღლებისათვის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საქმეში და რიგ შემთხვევაში საბჭოების მუშაობა ატარებს ფორმალურ ხასიათს. ოლქის საბჭოს სესიებზე განსახილველ საკითხების მომზადებაში ფართოდ არ არიან ჩაბმული საბჭოს დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი; საოლქო და რაიონული საბჭოების სესიებზე არ იხილავენ აქტუალურ საკითხებს ოლქის კოლმეურნეობების სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ, საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის შესრულების მიმდინარეობის, სოფლების კეთილმოწყობის, სკოლების, გზების, ხიდების შეკეთების და სხვა.

საოლქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიღებული დადგენილებების შესრულებას ადგილობრივი საბჭოების ორგმასობრივი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ. სტალინირის რაისაბჭოს სესია 1955—56 წლებში ჩატარებულია მხოლოდ 3-ჯერ, ჯავის რაიონული საბჭოსი—5-ჯერ; საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, გარდა ლენინგორისა, არ ჩაუბარებიათ ანგარიშები თავიანთ საბჭოებისათვის; საოლქო საბჭოს 20 დეპუტატს, საქალაქო და რაიონული საბჭოების 44 დეპუტატს, სასოფლო და სადაბო საბჭოების 31 დეპუტატს არ ჩაუბარებიათ ანგარიშები ამომრჩევლებისათვის; არ სწარმოებს ამომრჩეველთა წინადადებებისა და განაწესების შესწავლა და სათანადო ღონისძიებების დასახვა მათი შესრულებისათვის.

ჯერ კიდევ არ არის მოწესრიგებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის საქმე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 6 თებერვლის დადგენილების შესაბამისად, რის შედეგად ადგილი აქვს დასახლებული პუნქტების ადმინისტრაციული დაქვემდებარებისა და სახელწოდებათა თვითნებურ ცვლილებებს.

სუსტია კულტურულ-მასობრივი მუშაობა სოფლად, არ ხდება კინოფილმების სისტემატური ჩვენება, განსაკუთრებით მთიანი ზონის სოფლებში; საოლქო საბჭოს აღმასკომი სათანადო ყურადღებას არ აქცევს თავისი გადაწყვეტილებების შესრულების შემოწმებას, რის შედეგადაც მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ზოგიერთი აღმასკომი უპასუხისმგებლოდ ეკიდება გადაწყვეტილებათა შესრულებას, სათანადოთ ვერ რაზმავს მშრომელთა მასებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

ზოგიერთი რაიონული და სასოფლო საბჭოს აღმასკომს არა აქვს მოწესრიგებული მშრომელთა მიღების საქმე, რის გამოც მთხოვნელებს უხდებათ რამდენჯერმე მისვლა შეტანილ განცხადებებზე და საჩივრებზე პასუხის მისაღებად.

იმის შედეგად, რომ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების ორგმასობრივი მუშაობა არ არის დაყენებული სათანადო სიმაღლეზე და ნაკლები ყურადღება ექცევა აღმზრდელობითს მუშაობას, ზოგიერთ კოლმეურნეობაში ადგილი აქვს შრომის ორგანიზაციის მოუწესრიგებლობას. 1956 წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მეორე პერიოდში შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი არ ქონდათ გამომუშავებული სტალინირის რაიონში შრომისუნარიან კოლმეურნეთა 24 პროცენტს, ზნაურის რაიონში—16,2 პროცენტს, ლენინგორის რაიონში—15,6 პროცენტს და ჯავის რაიონში 18 პროცენტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ განემარტა ფართო მასებს და არ არის დაყვანილი ყველა კოლმეურნეობამდე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 28 სექტემბრის მნიშვნელოვანი დადგენილება, რომლითაც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებს დაუწესდათ საგრძნობლად შემცირებული სახელმწიფო გადასახადები და განთავისუფლდნენ მთელი რიგი ძველი დავალიანების გადახდისაგან, რასაც უნდა გამოეწვია კოლმეურნეობებში დიდი სტიმული სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების ორგმასობრივ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში საბჭოების აქტიურად ჩაბმის მიზნით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომს (თავმჯდომარე ამხ. ვ. დ. კოზაევი) მიიღოს საჭირო ზომები ამ დადგენილებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რისთვისაც:

ა) გარდაქმნას საოლქო საბჭოს აღმასკომის ორგმასობრივი მუშაობა და უზრუნველყოს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების როლის ამაღლება სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საქმეში;

ბ) მიიღოს ზომები ადგილობრივი საბჭოებისადმი ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად, მიაღწიონ იმას, რომ საბჭოების მუშაობაში ფართოდ იყოს ჩაბმული ყველა დეპუტატი საბჭოს წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის;

გ) უზრუნველყოს სესიების დადგენილ ვადებში მოწვევა, ამ სესიებზე სამეურნეო და კულტურულ მშენებლობის საკითხების განხილვა და საკითხების მომზადება-განხილვაში საბჭოების დეპუტატების, მუდმივი კომისიებისა და აქტივის მონაწილეობა;

დ) უზრუნველყოს დეპუტატების მიერ ამომრჩევლებისათვის და აღმასკომების მიერ საბჭოების სესიებისათვის ანგარიშების ჩაბარების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებების განუხრელი შესრულება;

ე) მიმდინარე წლის 20 დეკემბრამდე დაამთავროს ამომრჩევლების მიერ შემოტანილ წინადადებათა შეჯამება და განხილვა და დასახოს სათანადო ღონისძიებანი მათი პრაქტიკული განხორციელებისათვის;

ვ) ქმედითი დახმარება აღმოუჩინოს საბჭოების მუდმივ კომისიებს და უზრუნველყოს მათი მუშაობა მუდმივი კომისიების დებულების შესაბამისად;

ზ) უზრუნველყოს ზემდგომ ორგანოებისაგან მიღებული დადგენილებების დროულად განხილვა და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების სისტემატური შემოწმება; ყურადღებით მოეპყრას მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვას და უზრუნველყოს პასუხის დროულად გაცემა;

თ) მიიღოს გადამჭრელი ზომები საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განუხრელად გატარებისათვის და უზრუნველყოს სასკოლო ასაკის ყველა ბავშვის სკოლაში ჩაბმა, სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობა ჩაატაროს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა შორის მათი წარმოებაში და კოლმეურნეობებში სამუშაოდ ჩასაბმელად;

ი) ფართოდ გაშალოს ოლქის მოსახლეობაში კულტურულ-მასობრივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაობა, სისტემატურად მოაწყოს ლექციები და საუბრები, კინოფილმების ჩვენება, გააუმჯობესოს კულტურის სახლების, კლუბების, ბიბლიოთეკების და თვითმოქმედი წრეების მუშაობა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მთიანი ზონის სოფლების კულტასობრივ მომსახურებას;

კ) განუმარტოს ოლქის მოსახლეობას კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის ზრუნვა, რაც გამოხატულია ოლქის მთიანი ზონის კოლმეურნეობებისათვის დახმარების გაწევის შესახებ მიღებულ დადგენილებაში და მიიღოს საჭირო ზომები კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის განსამტკიცებლად; დაეხმაროს კოლმეურნეობებს მეურნეობის სწორ დაგეგმვაში და შრომის ორგანიზაციის მოწყობაში, განაზოგადოს და დანერგოს სოფლის მეურნეობაში მოწინავეთა გამოცდილება, ფართოდ გაშალოს სოფლის საბჭოებსა და კოლმეურნეობებში სოციალისტური შეჯიბრება;

ლ) ყურადღება მიაქციოს სოფლების კეთილმოწყობას, გზების და ხიდების მშენებლობას და აქტიურად ჩაებას ამ საქმეში საბჭოების მუდმივი კომისიები და სოფლის აქტივი;

მ) განუხრელად შეასრულოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფისა და დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა ცვლილების წესის შესახებ;

ნ) მიიღოს საჭირო ზომები საბჭოების აღმასკომების მუშაკების შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად და დაეხმაროს საბჭოებს შესაფერისი შენობებით და ინვენტარით უზრუნველყოფის საქმეში;

ო) შეიმუშაოს დებულება საოლქო საბჭოს და მისი აღმასკომის შესახებ და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დასამტკიცებლად 1957 წლის 1 აპრილამდე.

2. დაევალოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ვ. დ. კოზაევს აღნიშნული დადგენილება განიხილოს რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებისა და მდივნების თათბირზე, ფართოდ განუმარტოს მათ საბჭოების როლი და ამოცანები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებების შესრულების უზრუნველყოფის საქმეში და ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ წარმოუდგინოს მოხსენება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1957 წლის 1 თებერვლისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წ. 14 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**5. ბრძანებულება ინჟინერ დ. გ. ხმიადაშვილისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის წოდების მინიჭების შესახებ**

დაბადებიდან 60 წლისთავთან დაკავშირებით და რადიოტექნიკის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მეცნიერულ-პოპულარიზატორული მოღვაწეობის აღსანიშნავად მიენიჭოს ინჟინერ დიმიტრი გიორგის-ძე ხმიადაშვილს საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წ. 20 ნოემბერი.

**6. ბრძანებულება მ. ე. თარხნიშვილისათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

დაბადებიდან სამოცი წლისთავთან დაკავშირებით და ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისათვის მიენიჭოს მარიამ (მარო) ესტატეს ასულ თარხნიშვილს საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე —**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წ. 29 დეკემბერი.

**7. ბრძანებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

დაინიშნოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები კვირას, 1957 წლის 17 მარტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 3 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 8. კასპის რაიონის ახალქალაქის სასოფლო საბჭოს აღმასკომის მუშაობის შესახებ

მოისმინა რა კასპის რაიონის ახალქალაქის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. მ. დავიდოვის მოხსენება კასპის რაიონის ახალქალაქის სასოფლო საბჭოს აღმასკომის მუშაობის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ახალქალაქის სასოფლო საბჭოს აღმასკომს საანგარიშო პერიოდში გატარებული აქვს ღონისძიებანი საბჭოს აღმასკომის ორგმასობრივი მუშაობის გაუმჯობესებისა და სახალხო მეურნეობის გეგმების დროულად შესრულებისათვის.

ახალქალაქის სასოფლო საბჭოს აღმასკომი მტკიცედ იცავს სესიების მოწვევის კონსტიტუციით დადგენილ ვადებს.

სასოფლო საბჭოს დეპუტატები ხვდებიან ამომრჩევლებს და აბარებენ ანგარიშებს თავიანთი მუშაობის შესახებ. დეპუტატების ინიციატივით და სასოფლო საბჭოს აღმასკომის დახმარებით სოფელ ახალქალაქში გაყვანილია სინათლე და მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით შეკეთებულია ახალქალაქ-კავთისხევის გზა; მდინარე ცხირეთის ხევზე წყალდიდობისაგან მოსახლეობის დაცვის მიზნით აგებულია 800 მეტრი სიგრძის ნაპირსამაგრი კედელი; სოფელ ჭყოპიანში თვითდამგვრის სახსრებით გაყვანილია სასმელი წყალი; სასოფლო საბჭოში შემავალ სოფლებში ტარდება ლექციები და მოხსენებები, კონცერტები, საღამოები, აჩვენებენ კინოფილმებს. დეპუტატები აქტიურად ეხმარებიან სასოფლო საბჭოს მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვაში.

ამასთან ერთად ახალქალაქის სასოფლო საბჭოს აღმასკომის მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. საბჭოს სესიებსა და აღმასკომის სხდომებზე განსახილველი საკითხების მომზადებაში ფართოდ არ არიან გამოყენებული საბჭოს დეპუტატები; საკითხების განხილვაში მონაწილეობას იღებენ ერთი და იგივე დეპუტატები; სუსტად არის გაშლილი კრიტიკა და თვითკრიტიკა.

დარღვეულია მუდმივი კომისიების დებულება და კომისიის თავმჯდომარეები არჩეული არიან არა კომისიების სხდომებზე, არამედ საბჭოს სესიაზე. სასოფლო საბჭოს ზოგიერთი მუდმივი კომისია სუსტად მუშაობს და არ ასრულებს გეგმით გათვალისწინებულ სამუშაოებს.

ჯერ კიდევ სუსტადაა დაყენებული აღმასკომის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების საქმე, დღიდან აღმასკომის არჩევისა მხოლოდ ერთი გადაწყვეტილების შესრულებაა შემოწმებული.

აღმასკომი არ იღებს ქმედით ზომებს ამომრჩეველთა მიერ შეტანილი წინადადებების დროულად შესრულებისათვის. ასე, მაგალითად, დეპუტატების—მეზურნოვის, კუხალეიშვილის, გორგიძის, სამხარაძის და სხვების მიერ შეტანილი წინადადებები სასმელი წყლის გაყვანის, რადიოქსელის მოწყობისა და ხიდების შეკეთების შესახებ დღემდე არ არის შესრულებული.

იმის გამო, რომ სასოფლო საბჭოს სათანადო სიმაღლეზე არა აქვს დაყენებული ორგმასობრივი მუშაობა და სუსტად ახორციელებს კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობას, მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა არ არის შესრულებული, ჩამორჩენას აქვს ადგილი, აგრეთვე დამზადებების და ფულადი გადასახადების გეგმების შესრულებაში; მიმდინარე წლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV კვარტალის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 28,3 პროცენტით, დაზღვევის—22 პროცენტით და თვითდაბეგვრისა—19 პროცენტით.

1955 წელს სასოფლო საბჭოში შემავალ კოლმეურნეობების 776 შრომისუნარიანი კოლმეურნიდან შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი გამომუშავებული არა აქვს 172 შრომისუნარიან კოლმეურნეს, ხოლო 64 კოლმეურნეს მონაწილეობა არ მიუღია საკოლმეურნეო შრომაში. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი მიმდინარე წელსაც.

ახალქალაქის სასოფლო საბჭოს აღმასკომის მუშაობაში არსებული აღნიშნული ნაკლოვანებები გამოწვეულია იმით, რომ სასოფლო საბჭოს აღმასკომი თავის მუშაობაში ფართოდ არ იყენებს სასოფლო საბჭოს დეპუტატებს და საბჭოს აქტივს, ხოლო კასპის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი თავის მხრივ საკმარის დახმარებას არ უწევს სასოფლო საბჭოს აღმასკომს.

ახალქალაქის სასოფლო საბჭოს აღმასკომის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს ახალქალაქის სასოფლო საბჭოს აღმასკომს (თავმჯდომარე ამხ. მ. დავიდოვი) ყოველმხრივ გააუმჯობესოს საბჭოს მუშაობა და აღმოფხვრას მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, რისთვისაც:

ა) ფართოდ ჩაბას სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე განსახილველი საკითხების მომზადებაში საბჭოს დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი;

ბ) სისტემატურად განიხილოს სესიებსა და აღმასკომის სხდომებზე ორგანსობრივი მუშაობისა და სამეურნეო-კულტურული მშენებლობის საკითხები, ამასთან ფართოდ ჩაბას ამ საკითხების განხილვაში საბჭოს დეპუტატები, მუდმივი კომისიები და საბჭოს აქტივი;

გ) ქმედითი დახმარება გაუწიოს საბჭოს დეპუტატებს ამომრჩევლების წინაშე ანგარიშების ჩაბარებისა და ამომრჩეველთა წინადადებების და განაწესების შესრულების საქმეში;

დ) დახმარება გაუწიოს საბჭოს მუდმივ კომისიებს და უზრუნველყოს მათი მუშაობა მუდმივი კომისიების დებულების შესაბამისად;

ე) უზრუნველყოს ზემდგომი ორგანოებიდან მიღებულ დადგენილებათა და გადაწყვეტილებათა დროულად განხილვა და მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების სისტემატური შემოწმება;

ვ) გულისხმიერად მოეკიდოს მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვას, უზრუნველყოს მათზე პასუხის დროულად გაცემა, ამ საქმეში ფართოდ გამოიყენოს საბჭოს დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი;

ზ) გაუმჯობესოს კულტურულ-მასობრივი მუშაობა; სისტემატურად ჩაატაროს ლექციები და მოხსენებები, მოაწყოს კონცერტები, საღამოები და კინოფილმების ჩვენება;

თ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებას და შრომის დისციპლინის განმტკიცებას, მიაღწიოს იმას, რომ შრომისუნარიანი ყველა კოლმეურნე აქტიურ მონაწილეობას ღებულობდეს საკოლმეურნეო შრომაში;

ი) დაეხმაროს სასოფლო საბჭოში შემავალ კოლმეურნეობებს სასოფლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეურნეო სამუშაოებისა და მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმების შესრულებაში; მიიღოს საჭირო ზომები სახელმწიფო გადასახადებისა და პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების გეგმების დროულად შესრულებისათვის.

2. დაევალოს კასპის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს (თავმჯდომარე ამხ. ა. ბასიაშვილი) სისტემატური დახმარება გაუწიოს სადაბო და სასოფლო საბჭოებს ორგმასობრივი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში და უზრუნველყოს საბჭოების როლის ამაღლება სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 7 იანვარი.

**9. მრავალშვილიანი დედების დასაჯილდოებლად წარდგენისა და მათთვის ორდენებისა და მედლების ჩაბარების მდგომარეობის შესახებ საქართველოს სს რესპუბლიკაში**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ 1954 წლის თებერვალში პრეზიდიუმის სხდომაზე საქართველოს სს რესპუბლიკაში მრავალშვილიანი დედების დასაჯილდოებლად წარდგენისა და მათთვის ორდენებისა და მედლების ჩაბარების მდგომარეობის საკითხის განხილვის შემდეგ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების მიერ ჩატარდა მნიშვნელოვანი მუშაობა მრავალშვილიანი დედების დასაჯილდოებლად თავის დროზე წარდგენისათვის, რის შედეგადაც 1954—1955 წლებში ორდენებითა და მედლებით რესპუბლიკაში სულ დაჯილდოვდა 10.343 დედა. მაგრამ 1955 წელში მრავალშვილიანი დედების დასაჯილდოებლად წარდგენის საქმე მნიშვნელოვნად გაუარესდა.

ასე, თუ 1954 წელში რესპუბლიკაში დაჯილდოვდა 5.837, ხოლო 1955 წელში 4.506 მრავალშვილიანი დედა, 1956 წლის განმავლობაში დაჯილდოვდა მხოლოდ 2.725 დედა.

გასულ წელში მთელმა რიგმა აღმასკომებმა გააუარესეს მუშაობა მრავალშვილიანი დედების დასაჯილდოებლად წარდგენის საქმეში. ასე, მაგალითად, ფოთისა და ჭიათურის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებს და ამბროლაურის, ბოლნისის, ბორჯომის, მაიაკოვსკის, ყაზბეგის, ჩხოროწყუს და ცაგერის რაიონული საბჭოების აღმასკომებს 1956 წელში არ წარმოუდგენიათ დასაჯილდოებლად არც ერთი მრავალშვილიანი დედა, მეტეხის რაიაღმასკომმა წარმოადგინა მხოლოდ ერთი მრავალშვილიანი დედა, მცხეთის რაისაბჭოს აღმასკომმა — 5, თიანეთის რაისაბჭოს აღმასკომმა — 6, წითელწყაროს რაისაბჭოს აღმასკომმა — 6, ლანჩხუთის რაისაბჭოს აღმასკომმა — 11, კაჯრეთის რაისაბჭოს აღმასკომმა — 17, ტყიბულის რაისაბჭოს აღმასკომმა — 26 მრავალშვილიანი დედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც შემოწმებით გამოირკვა, მრავალშვილიანი დედების დასაჯილდოებლად წარდგენის საქმის ჩამორჩენის ერთ-ერთი სერიოზული მიზეზია დასაჯილდოებლად წარსადგენი დედების აღრიცხვის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა და აგრეთვე ის, რომ მუშაკები ადგილებზე არ იცავენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ინსტრუქციას, რომლის მიხედვით სოციუზრუნველყოფის განყოფილებებმა მრავალშვილიანი დედისათვის პირველი ყოველთვიური დახმარების გადასახდელი საბუთების გაფორმებისთანავე, უნდა წარადგინონ ის დასაჯილდოებლად.

ბორჯომის, ქარელისა და ტყიბულის რაისაბჭოების აღმასკომების სოციუზრუნველყოფის განყოფილებებში არ იყო არავითარი აღრიცხვა დასაჯილდოებლად წარსადგენი მრავალშვილიანი დედებისა. შემოწმებით გამოვლინდა, რომ ამ რაიონებში დიდი რაოდენობით არიან დასაჯილდოებელი მრავალშვილიანი დედები.

მთელ რიგ რაიონებში მრავალშვილიანი დედების დასაჯილდოებლად წარდგენა ჭიანურდება. ბორჯომის, ქარელის, ტყიბულის და წყალტუბოს რაიონებში არიან მრავალშვილიანი დედები, რომლებიც უნდა დაჯილდოებულიყვნენ ჯერ კიდევ 1951, 1952, 1953 და 1954 წლებში.

აღრიცხვის არადამაკმაყოფილებლად დაყენებისა და აგრეთვე მრავალშვილიანი დედების დასაჯილდოებლად წარდგენისადმი სოციუზრუნველყოფის განყოფილებების მუშაკების უყურადღებო დამოკიდებულების შედეგად ასპინძის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, დმანისის, ლაგოდეხის, ლენტეხის, კაჭრეთის, ყვარლის, სიღნაღის, თეთრიწყაროს, წალენჯიხის, წალკის და წითელწყაროს რაიონებში ადგილი ქონდა ერთი და იგივე დედის ერთნაირ ჯილდოზე განმეორებით წარდგენის შემთხვევებსაც.

მთელი რიგი საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები ძალიან აჭიანურებენ დაჯილდოებული მრავალშვილიანი დედებისათვის ჯილდოების ჩაბარებას. მიმდინარე წლის 1 იანვრის მდგომარეობით რესპუბლიკაში სულ ითვლებოდა 557 ჩაუბარებელი ჯილდო, მათ შორის ზესტაფონის რაისაბჭოს აღმასკომზე—32, ლენტეხის რაისაბჭოს აღმასკომზე—33, გეგეჭკორის რაისაბჭოს აღმასკომზე—35 და ახალქალაქის რაისაბჭოს აღმასკომზე—301 ჩაუბარებელი ჯილდო.

ზემოაღნიშნული ნაკლოვანებები იმის შედეგია, რომ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების ბევრმა აღმასკომმა და მათმა სოციუზრუნველყოფის განყოფილებებმა უკანასკნელ ხანებში შეასუსტეს ყურადღება მრავალშვილიანი დედების დასაჯილდოებლად წარდგენის საქმისადმი, ხოლო სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო არასაკმაო კონტროლსა და დახმარებას უწევს მათ მუშაობაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაევალოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს:

ა) შეამოწმონ და განიხილონ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებზე მრავალშვილიანი დედების დასაჯილდოებლად წარდგენის მდგომარეობა სოციუზრუნველყოფის განყოფილებებში და მიიღონ საჭირო ზომები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მოაწესრიგონ დასაჯილდოებელი მრავალშვილიანი დედების ხუსტი აღრიცხვა და უზრუნველყონ გასულ წლებში დაუჯილდოებელი მრავალშვილიანი დედების გამოვლინება და დასაჯილდოებლად წარდგენა, მკაცრად დაიცვან აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ინსტრუქცია მრავალშვილიანი დედების ჯილდოზე წარდგენის წესის შესახებ;

გ) დადგენილ ვადებში განიხილონ აღმასკომების სხდომებზე სოცუზრუნველყოფის განყოფილებების მიერ დასაჯილდოებლად წარმოდგენილი მრავალშვილიანი დედების პირადი საქმეები; უზრუნველყონ დაჯილდოებისათვის საჭირო საბუთების ხარისხიანი გაფორმება და მათი წარმოდგენა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში;

დ) ერთი თვის ვადაში ჩაბარონ დაჯილდოებულ მრავალშვილიან დედებს ჩაუბარებელი ჯილდოები, შემდგომში არ დაუშვან ჯილდოების ჩაბარების შეფერხება და აგრეთვე დროულად წარმოადგინონ ჩაბარების ოქმები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში;

ე) წარმოუდგინონ ანგარიში ჩატარებული მუშაობის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1957 წლის 1 მარტისათვის.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს (ამხ. ა. გიგოშვილი) სისტემატური კონტროლი და დახმარება გაუწიოს სოცუზრუნველყოფის განყოფილებებს ადგილებზე მრავალშვილიანი დედების აღრიცხვისა და მათი დასაჯილდოებლად თავის დროზე წარდგენის საქმეში.

3. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დაჯილდოებულთა აღრიცხვისა და რეგისტრაციის განყოფილებას (ამხ. გ. ჩარექიშვილი) თვალყური ადევნოს ამ დადგენილების შესრულებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 7 იანვარი.

## 10. ბრძანებულება წვრილმანი ხულიგნობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ

იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს ბრძოლა წვრილმან ხულიგნობასთან, რომლისათვისაც პასუხისმგებლობა კანონით არ არის გათვალისწინებული, რის გამო ისეთი ქმედობანი, როგორიცაა საზოგადოებრივი წესრიგისა და მყუდროების დარღვევა, მოქალაქეებისადმი შეურაცხმყოფელი უპატივცემულობის გამოვლინება, უწმაწური სიტყვების ხმარება და სხვა უხამსი საქციელი ხშირად დაუსჯელი რჩება, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

**ა დ გ ე ნ ს:**

1. დაწესდეს, რომ წვრილმანი ხულიგნობა გამოიწვევს პატიმრობას ვადით 3-დან 15 დღეღამემდე, თუ ეს ქმედობა თავისი ხასიათით არ იწვევს საქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 75 მუხლით გათვალისწინებულ სასჯელს.

2. წვრილმანი ხულიგნობის მასალებს განიხილავს ერთპიროვნულად სახალხო მოსამართლე ერთი დღეღამის განმავლობაში მათი მილიციის ორგანოებიდან სასამართლოში მიღებიდან, იმ პირის გამოწვევით, რომელმაც ჩაიდინა ხულიგნური საქციელი, და საჭირო შემთხვევებში აგრეთვე მოწმეების გამოწვევით.

სახალხო მოსამართლის დადგენილება წვრილმანი ხულიგნობისათვის პატიმრობის შესახებ სრულდება დაუყოვნებლივ და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

3. წვრილმანი ხულიგნობისათვის დაპატიმრებულთა მოთავსება ხდება წინასწარი პატიმრობის კამერებში ან საპატიმროში ფიზიკურ სამუშაოებზე გამოყენებით; პატიმრობაში ყოფნის დროის განმავლობაში ხელფასი მუდმივი სამუშაოს ადგილზე მათ არ მიეცემათ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 7 იანვარი.

## 11. საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების მორიგი არჩევნების ჩასატარებლად გამოყენებული იქნას სახელმძღვანელოდ საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულება, დამტკიცებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 18 დეკემბრის ბრძანებულებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 7 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 12. საქართველოს სსრ წითელწყაროს რაიონის ცენტრის დაბა წითელი წყაროს რაიონული დაქვემდებარების ქალაქების ჯგუფზე მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

წითელწყაროს რაიონის ცენტრის დაბა წითელი წყაროს რაიონული დაქვემდებარების ქალაქების ჯგუფზე მიკუთვნება ჩაითვალოს ნაადრევად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 7 იანვარი.